№ 183 (10351)
26 სექტემბერი,
ოთხშაბათი,
1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ხათუნა კორკელიამ გაიმეორა საბჭოთა კავშირის რეკორდი

ვაჟებსაც შეშურდათ



ის ბაზის ქება, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა დაეკისრა, ნამდვილად ზედმეტია. ერთს ვიტყვით მხოლოდ: ფოთის წყალსათხილამურო კომპლექსი უმნიშვნელოვანეს ასპარეზობათა სასურველ სარბიელად იქცა. წელი არ გავა, რომელიმე მაღალი რანგის შეჯიბრება არ გაიმართოს აქ. აი, ახლაც: უკვე მერამდენედ უმასპინძლეს ფოთელებმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას წყალსათხილამურო სპორტში. არადა, განა რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ახლა უკვე ცნობილი ბაზა აშენდა.

თასის წლევანდელმა გათამაშებამაც ცხადია, ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. საპატიო პრიზის მოსაპოვებლად სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა საკმაოდ ძლიერმა გუნდებმა იბრძოლეს. საქართველოს ნაკრების წევრები — ხათუნა კორკელია, გენადი გურალია და ვასილ ბუდუროვი (სამივე სპორტსმენი ფოთელია, სამივეს ვიქტორ მელნიკი ავარჯიშებს) პროფკავშირულ სპორტს წარმოადგენდნენ და ცალკე გუნდად ისპარეზეს. მათ საზღვაოსამხედრო ფლოტის მართლაც უძლიერეს კოლექტივთან და პროფკავშირთა მეორე გუნდთან მოუხდათ მეტოქეობა უძლიერესთა შორის დასამკვიდრებლად. საბოლოოდ, სამხედრო მეზღვაურებს ვერავინ აჯობა და გუნდური პირველი ადგილი მათ დარჩათ. მეორე იყო პროფკავშირთა II ნაკრები, რომლის შემადგენლობაში მოსკოველი, ზარკოველი და ნოვოპოლოცკელი სპორტსმენები გამოდიოდნენ; მესამენი კი ჩვენი სპორტსმენები იყვნენ. ამ შემთხვევაში კომენტარი მართლაც ზედმეტია — ერთი პატარა ქალაქის, ერთი სკოლის („შევარდენის“ ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სკოლა) სამმა აღზრდილმა საბჭოთა კავშირის აღიარებული წყალსათხილამურო ცენტრების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ მართლაც რომ ნაკრებ გუნდებთან ღირსეულად იპაექრა და საპატიო მესამე ადგილიც დაიკავა.

საქართველოს წყალშოთხილამურეები განსაკუთრებით კარგად ტრამპლინიდან სტომაში გამოვიდნენ — ამ სახეობაში ჩვენი გუნდი მესამე იყო. ამიტომ აღარავის გაჰკვირვებია, შეჯიბრების დასასრულს მოწყობილ ფოთის სპორტკომიტეტის თასის გათამაშებაში ყველას ხათუნა კორკელიამ რომ აჯობა. სხვათა შორის, ამ ერთი სახეობის, კერძოდ, ტრამპლინიდან მხტომელთა კონკურსში ქალები და ვაჟები ერთად ასპარეზობდნენ. შედეგებიც, ცხადია, ქულათა დარიცხვის საგანგებო სისტემის მეშვეობით ჯამდებოდა. და აი, შაშინ, როცა ხათუნა კორკელია 40 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე გადახტა, ყველასათვის, ვაჟებისთვისაც და ქალებისთვისაც, ცხადი გახდა, ვინ დაეუფლებოდა სპატიო ჯილდოს. 40,1 მეტრი ბრწყინვალე შედეგია და საკავშირო რეკორდის გამეორებაც გახლავთ. ამ სახტომში ხათუნას 1000 ქულა დაერიცხა და, ქალებს ვინღა დაეძებს, ვაჟებიც პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა.

გაზეთი პასუხს ითხოვს

ისევ „გულგრილობის ძეგლის“ შესახებ

„ლელოს“ ფურცლებზე 9 სექტემბერს გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „გულგრილობის ძეგლი“, რომელიც 26 მაისის (ყოფილი „ლოკომოტივი“) სტადიონის ხავსალალო ყოფას ეხებოდა. ყველასგან მიტოვებულ-მივიწყებული ეს სპორტული ბაზა გადაეცეს საქართველოს სპორტხახკომს — ასეთი იყო გაზეთის წინადადება. სხვა ორგანიზაცია, ვისაც ძალუძს 26 მაისის სტადიონი ერის სამსახურში ჩააყენოს, გარდა საქართველოს სპორტხახკომისა, დღეს ჩვენ არ გვეგულება და ამიტომაც ასე არაორაზროვნად დავსვით ეს საკითხი.

სახიხარულოა, რომ თბილისის ხაზოგადოებრიობა უმალვე დაინტერესდა წინადადებით, რასაც მოწმობს რედაქციაში შემოსული წერილები, რომელთა შორის რამდენიმე კოლექტიურია.

ახლა შემოგთავაზებთ რამდენიმე ამონაწერს რედაქციაში შემოსული წერილებიდან: „თქვენ წერდით, რომ გამოჩნდა ფირმა „სპორტკომპლექსი“, რომელიც ქართული სპორტის შემწეობას კისრულობს. თუ ახეა, ნურც 26 მაისის სტადიონს დავიწყებთ“ (ვ. ხალაძე, თბილისი). „ხშირად მიწევს გავლა ამ სტადიონთან და პირდაპირ გული მიკვდება, მართლაც „გულგრილობის ძეგლად“ ქცეულ ოდესღაც მოგუგუნე ხარბიელს რომ შევხედავ“ (ბ. კირვალიძე, ინჟინერი, თბილისი). „კარგია, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში წამოწიეთ, პირდაპირ ვიტყვი, ამოერჩაკაჩახიის რკინიგზა ყოველწლიურად გამოყოფილი კაპიკ-კაპიკით ამ ბაზას ფეხზე ვერ დააყენებს, სხვა გზა ვეძებოთ“ (გ. მენაბდე, პედაგოგი, თბილისი)...

ჩვენ უკვე მეორედ ვუბრუნდებით ამ საკითხს, როგორც ხედავთ, ხაზოგადოებრიობაც დაინტერესებულია, მხოლოდ ეგაა, არავითარი ხმა არ ისმის იქიდან, ვის ხელთაც დღეს 26 მაისის სტადიონის ბედია.

გაზეთი პასუხს ითხოვს.

...რაც შეეხება რეკორდებს

პეკინი. ჩინეთის დედაქალაქში მიმდინარე აზიის ქვეყნების თამაშებს უკვე ჰყავს თავისი რეკორდსმენები. ყველაზე მაღალი სპორტსმენი გახლავთ ჩინეთის კალათბურთელთა ნაკრების 23 წლის ცენტრალური თავდამსხმელი ლი მენგხუნი. მისი სიმაღლეა 231 სანტიმეტრი. თამაშების ყველაზე დაბალ და, ამავე დროს, ყველაზე მსუბუქ სპორტსმენად ითვლება 11 წლის პაკისტანელი მოცურავე სეიდ ჭამალ მასუდი. 123 სანტიმეტრი სიმაღლის სპორტსმენი სულ რაღაც 25 კილოგრამს იწონის. მასუდის გვერდით ჩინელი ძალოსანი ცაი ლი ნამდვილ გოლიათად გამოიყურება თავისი 156 კილოგრამით. თამაშების ყველაზე ხანდაზმული მონაწილეა მაკაოს გუნდის წარმომადგენელი, ტყვიის მსროლელი მენდეს მარია ფატიმა. მას ამ დღეებში 67 წელი შეუსრულდა. ყველაზე ახალგაზრდა კი 10 წლის იემენელი მოჰამედ ალ-ხაბაშია, რომელიც მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში გამოვა. სხვათა შორის, აზიის XI თამაშებში მონაწილეობს მსოფლიოსა და ოლიმპიადების 73 ჩემპიონი. ეს რაც შეეხება რეკორდებსა და რეკორდსმენებს, თუმცა...

ორმა „სამუშაო“ დღემ რამდენიმე ნამდვილი რეკორდიც მოიტანა. ერთი მათგანია მსოფლიოსი, რომელიც დაამყარა 50 კგ წონაში მოასპარეზე ძალოსანმა ჭალმა, ჩინელმა სინ ლივეიმ — 85 კგ. ლივეიმ ორჯიდში 190 კგ დააგროვა, გახდა ჩემპიონი და თამაშების რეკორდიც გააუმჯობესა. კონტინენტის რეკორდსმენები გახდნენ, აგრეთვე ჩინელი მოცურავეები ჩჟუან იუნი (100 მ. თავისუფალი სტილი — 55,30), ლი ლინი (400 მ. კომპლექსური — 4.39,88) და ჩენ ცზიანხუნი (100 მ. ბრასი — 1.02,50).

„შევარდენმა“ დეპოლიტიზაცია გამოაცხადა

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს აპარატის კომპარტიის პირველადი ორგანიზაციის ქრებამ მიზანშეწონლად ჩათვალა პირველადი ორგანიზაციის შემდგომი ფუნქციონირება აპარატში და გამოაცხადა დეპოლიტიზაცია.

პრიზიორთა სამეული

პროფკავშირელ მოკრივეთა პირადმა საკავშირო პირველობამ, რომელიც ველიკიე ლუკის სარბიელზე ჩატარდა, ქვეყნის ორასზე მეტ ტყავის ხელთათმანის ოსტატს მოუყარა თავი, რომელთა შორის 6 საერთაშორისო კლასისა იყო. ასპარეზობაზე 8 შევარდენელი სპორტსმენი იცავდა ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას. წარმატება მოიპოვეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა. კერძოდ, პირველი მძიმე წონის ჯაბა ცუხიშვილმა ფინალისკენ გაიკაფა გზა, გადამწყვეტი ბრძოლა კი მინიმალური ანგარიშით დათმო და მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდა. ქვემსუბუქი და მეორე საშუალო წონის მოკრივეები სპარტაკ ჯაფარიძე და ზურაბ ფალიანი ასპარეზობის მესამე პრიზიორები გახდნენ.



წალენჯიხაში გაიხსნა მერაბ კოსტავას სახელობის საცხენოსნო სპორტული კლუბი. 19-23 სექტემბერს კი იქვე ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. ჩვენი ეროვნული საუნჯის გასაცნობად ასპარეზობას ამერიკელი ჟურნალისტებიც დაესწრნენ



ასპარეზობებს მოხალისეებად ვეზელი ბოსტანდა პატარა ყვარაცხელიები. შვილმა ო. კორძაიამ პრიზზე დაბრკოლებათა გადალახვაში გაიმარჯვა, მაშინ კი ვერც წარმოიდგენდა, რომ ეს ერთ დროს ოდესღაც მხოლოდ მხედრებად მხოლოდ წეგრული ცხენები გამოდიოდნენ.

მერაბ კოსტავას სახელობის ჭალენჯიხის საცხენოსნო კლუბი.

თამაზ ჭეჭვას ფოტოები.

გამოხმაურება წერილზე: „დავფიქრდეთ, ვიმოქმედოთ, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!“

„დავფიქრდეთ, ვიმოქმედოთ, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!.. მეტის მოთმენა და დაგვიანება აღარ შეიძლება. მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეში თითქმის ყველგან იგნორირებულია ფიზიკური კულტურის როლი და მნიშვნელობა“.
„ლელო“, 28.8.90.

იხ, რისი თქმაც ახლა მწადია, ჩემზე ადრე ცენტრალურმა პრესამ და ტელევიზიამ თქვეს მრავალჯერ: მე უბრალოდ მხარს ვუჭერ და ვიმეორებ მათი ავტორების ნააზრევს: ამ 70 წლის მანძილზე ახალი ტიპის ბიუროკრატიის არნახულმა უზირობამ და სისასტიკემ ხალხს წაართვა და გაუქელა მრავალი ადამიანური ღირსება, წაართვა სიცოცხლის სიხარულის განცდის უნარი. ადამიანი სიცოცხლეს საარსებო პირობების მინიმუმის ძიებაში რომ გახარჯავს და სხვა ყველაფერს ამ მიზანს დაუქვემდებარებს და დაუმონებს, გასაგებია, რატომ ახრჩობს სულიერი დეფიციტი ჩვენს საზოგადოებას.

ვაი რომ, ამავე მოვლენებმა დაამუხრუჭა უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში ძალით შეყვანილი საქართველოს მასობრივფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობა, სრულიად დააკნინა ეს ყოვლად საჭირო და აუცილებელი მოძრაობა.

ამ პრობლემით დაინტერესებული ერთი ქართველი მოღვაწე მდგომარეობის გაცნობის მიზნით, ამას წინათ ინგლისს ეწვია, იმოგზაურა მის პროვინციებში და სწავლობდა იმ წლოვანი ქალების ცხოვრებას, რომლებმაც ასაკის გამო მიატოვეს სამსახური და სახელმწიფოსაგან პენსიას იღებდნენ. გაოგნებული დაბრუნდა ჩვენი თანამემამულე: ყველა პროვინციაში, რომელიც მან მოინახულა, წლოვანი ქალების მიერვე შექმნილი იყო მრავალგვარი ასოციაცია და საზოგადოება, კულტურული თუ ფიზკულტურული წრეები; ისინი თურმე ყოველ საღამოს იკრიბებიან, ეუფლებიან ხელსაქმეობის ახალ მეთოდებს, აწყობენ მხატვრული კითხვის საღამოებს, ვარჯიშობენ ცურვაში, რბენაში, აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს. ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი დეტალიც: ყველგან — დარბაზებში. თუ აუზებზე იმისთანა სულიერი სილაღე და აღმაფრენა სუფევს, ყოველი ჩვენგანი შურით აივსებოდა. მიზეზების ძებნა რაღა საჭირო იყო: „ნისლიანი ალბიონის“ ეს მკვიდრნი, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილნი არიან ეკონომიკურად და ერთადერთ საზრუნავად ისღა დარჩენიათ, როგორმე უფრო შინაარსიანი, ლამაზი და სასიამოვნო გახადონ ღვთით ბოძებული სიცოცხლის ბოლო წლები.

ამ ამბის მოსმენამ მე სრულიად საწინააღმდეგო სურათი გამახსენა პირადი მოღვაწეობის პრაქტიკიდან: თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეთა მშობლებმა მთხოვეს ლექციის წაკითხვა მასობრივი ფიზიკური კულტურის საკითხებზე. ლექცია გვიან დამთავრდა. დასასრულს ერთმა მანდილოსანმა, რომლის სახეზეც აშკარად აღბეჭდილიყო ცხოვრების სიდუხჭირის კვალი, მორიდებით მითხრა: განა არ გვესმის თქვენი, განა არ ვიცით, რომ უვარჯიშებლობა უკულტურობაა, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც ამ აუდიტორიაში მყოფ მშობელთა უმრავლესობამ აქედან გასვლის შემდეგ უნდა ვეძებოთ ხორცი და ბოსტნეული, ოჯახში ვახშმად ქცეული სადილი რომ მოვამზადოთ. გვითხარით, გეთაყვა, როდისღა ვივარჯიშოთ?

მაშინდელი გულისტკივილი დღემდე გამომყვა, უფრო მეტიც, იგი ღრმავდება იმ მწარე სინამდვილის შეგნების გამო, რომ ამ სიტყვების თქმას დღეს ცხოვრება აიძულებს ჩვენი ოჯახის ქალების აბსოლუტურ უმრავლესობას. როდესაც დღენიადაგ ერთსა და იმავე საგანზე ფიქრი სხეულში ჯოჯოსავით ჩაგიჯდება და ოჯახური სიდუხჭირისაგან თავდასახსნელად ზრუნვა, ლამისაა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად იქცეს, იმ გასაცოდავებულმა ქალმა გინდაც მოახერხოს, ვთქვათ, ტურისტულ ლაშქრობაში წასვლა, ის ავბედითი ფიქრები ყოველ ნაბიჯზე მოუწამლავს სიამოვნებას.

ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიშისაგან განდგომამ ჩვენს რესპუბლიკაში გაანატონა ცხოვრების ჯანსაღი წესისადმი საერთო ნიჰილიზმის დამღუპველი ატმოსფერო. ცხადია, საშინელებაა, როცა ტურიზმის საუცხოო პირობებით განთქმულ საქართველოში, მისი დედაქალაქის გარეუბნებში, საკვირაო ტურისტულ ლაშქრობებში გასულ თითო-ოროლა კაცს თუ წააწყდები (მილიონნახევრიან ქალაქში!) ანდა დილის გამამხნევებელ ვარჯიშს მოსახლეობის 0,1 პროცენტი თუ ასრულებს.

დიახ, როცა ირგვლივ პროდუქტისა და ჩასაცმელის დეფიციტის, მაღაზიებთან გაჭიმული რიგების, გამუდმებული ძიების, „ჩალიჩისა“ და ეგოისტური ფაცაფუცის მეტს ვერაფერს ხედავენ — ადამიანებს გაუჩნდათ კიდევ ერთი გრძნობა, გრძნობა სირცხვილმორიდებისა: ასეთ პირობებში, როცა ირგვლივ სილატაკისა და გაჭირვების ატმოსფერო სუფევს (აღარაფერს ვამბობ სხვა სოციალურ უკუღმართობაზე), მათ მკრეხელობად და სამარცხვინოდ ეჩვენებათ საჯაროდ ვარჯიში. თუ ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობა.

და, მიუხედავად ყველაფრისა,... „რადგანაც კაცნი გვქვია, შვილნი სოფლისა“, ჩვენ უფლება არა გვაქვს არ დავძლიოთ ეს სულიერი დეფიციტი, ხელი ჩავიქნიოთ პირად სიკეთეზე და დავივიწყოთ, რომ ახალ საქართველოს ფიზიკურად დაჩიავებული კი არა, ჯანმრთელი და მტკიცე სულის ადამიანები სჭირდება. ამას წინათ რამდენიმე დღე დავყავი თელავში, რომელსაც საქართველოს სხვა რაიონებზე ნაკლებად არ აწუხებს ეკონომიკური და სულიერი დეფიციტის პრობლემები, მაგრამ ყოველ საღამოს ქალაქის ცენტრალური სტადიონი, მისი მწვანე მინდორი, სარბენი ბილიკები და მიმდებარე ტერიტორია მოვარჯიშე ახალგაზრდებით, წლოვანი ადამიანებით, ქალებითა და ბავშვებით ივსება. სტადიონის დირექცია და ინსტრუქტორი თავს დასტრიალებენ მათ.

შემდეგ ასეთსავე სურათს წავაწყდი ზოგიერთ სხვა რაიონის სტადიონზეც, რამაც, ჩამისახა იმედი, რომ ქართველი ხალხი განსაცდელსაც გაუძლებს, არ შეწყვეტს ვარჯიშს, ზრუნვას სხეულის წრთობისა და სიცოცხლის გასახალისებლად.

ახლა, როცა სიმართლე თამამად შეიძლება ითქვას, ბევრი ხელმძღვანელი ბრაზობს, რას გვერჩიან, რატომ გვლანძღავენო. ქვემოთ რამდენიმე ფაქტს მოვიტან და თავად განსაჯეთ, ვინ რას იმსახურებს.

...როცა თბილისში, დიღმის მასივში, „გიჟი“ ენთუზიასტების საოცარი მონდომების წყალობით, მოსახლეობის დარაზმულობითა და სპორტკომიტეტის მხარდაჭერით ეწყობა სპორტული ბაზების კომპლექსები — ათობით ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები, როცა გალაღებული ადამიანები, ივიწყებენ რა ეკონომიკურ სიბეჩავეს, მასივის სპარტაკიადასაც კი ატარებენ, და ამ დროს პარტიის თბილისის კომიტეტსა და ალმასკომში მოკალათებული ვაი-ხელმძღვანელები აუქმებენ სპორტული ბაზების 90 პროცენტს და მათს ადგილზე სხვა დანიშნულების ობიექტებს წამოჰიმავენ, — არის თუ არა ეს დანაშაული?

როდესაც მშრომელთა საერთო კრებებზე დანთებული ცეცხლით მეხურებული ზოგიერთი საპროექტო ორგანიზაცია ბოლოს და ბოლოს საცხოვრებელი მასივების მშენებლობის დაგეგმარებისას ითვალისწინებს მცხოვრებთათვის სათამაშო მოედნებსაც, სამშენებლო ორგანიზაციები კი (ცხადია, ზემდგომი ორგანოების გამიზნული წაყრუებით) მოედნებისთვის გამოყოფილ ფართობს ისევ სხვა დანიშნულების ობიექტებს დაუთმობენ, — როგორ გგონიათ, არ არის ეს ერის ღალატი? მიბრძანდით ვაზისუბნის, ვარკეთილის, გლდანის და თუნდაც სანაქებო დიღმის მასივებში და უმალ დარწმუნდებით ამაში.

როდესაც მიიღებ დადგენილებას ბავშვთა შორის მასობრივი სპორტის განვითარების თაობაზე და შიგ ჩაწერ, რომ ამიერიდან ბავშვები უფასოდ დაიშვებიან შეჯიბრებებზეო, მერე კი, როცა ბავშვებს ახლოსაც არ მიაკარებენ სტადიონს, და შენ — ამ დადგენილების მიმღები, მშვიდად დაიძინებ, — გეკითხებით, არ არის ეს დანაშაული? (ეს მოთხოვნა პირველად აშკარად გამოკვეთა პარტიის ცკ-ის 1966 წლის დადგენილებამ, მაგრამ მე თავად ვიყავი მოწმე, როგორ აპანღურებდნენ კონტროლიორები სტადიონზე უბილეთოდ მისულ ბავშვებს. გულს ნუ დავიმშვიდებთ იმით, რომ ეს „ძველად“ იყო; მსგავსი მოვლენები ახლაც გვხვდება).

ან კიდევ: როდესაც ხედავ, რომ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა უიმედოდ „ჩაფლავებულია“ და ამ დროს თითო მოსახლეზე წელიწადში 40-60 კაპიკი ძლივს გემეტება, ზოგ რეგიონში კი ეს რიცხვი 23 და 10 კაპიკიც კია — გეკითხებით, საქმეა ეს?

მე ხშირად მიწევს რაიონებში ჩასვლა, ვეცნობი ფიზკულტურულ მუშაობას ადგილებზე, სპორტული ბაზების მდგომარეობას; ამ ბოლო დროს მინახავს, მაგალითად, როგორაა მორყეული და ფუძეგამოცლილი დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის სპორტული დარბაზის ჭერი იმის გამო, რომ სათანადო ორგანიზაციებს არ უნდათ გაიღონ თანხა სახურავის შესაკეთებლად (ელოდებიან, როდის ჩამოიქცევა ეს უზარმაზარი ფილები და როდის გაგვსრესს; ალბათ მერე გამოიღებენ ხელს — იხუმრა ტექნიკუმის ერთმა მოსწავლემ). მინახავს მსგავსი რამ სხვა რაიონებშიც, მაგრამ რაც ამ ბოლო ხანს ზუგდიდში ვნახე, არავინ დაიჯეროს, საკუთარი თვალით თუ არ იხილავს ეს ყოველივე.

კარგა ხანია ზუგდიდში ძალოსნური სპორტი აღმავალი გზით წავიდა. მარტო ამ რაიონმა ბოლო წლებში თვრამეტი სპორტის ოსტატი აღზარდა. მწვრთნელმა ჯუმბერ მამფორიამ, ავთო გახოკიძის თანადგომით, საკუთარ ბინაზე მოაწყო ძალოსნობის დარბაზი. ოთხი წელი ავარჯიშა აქ ბიჭები, პირველი ოსტატებიც აქ „დაიბადნენ“, მაგრამ, როცა შტანგის ჯახა-ჯუხით ძალზე შეწუხდნენ მშობლები და ზუგდიდის დარბაზიც ოდნავ შეკეთდა, ისევ აქ გადმოინაცვლეს. პირველ ხანებში მუშაობა იმდენად შედეგიანი იყო, რომ ერთი პირობა საქართველოს სპორტსახკომში აზრიც კი გაჩნდა იმის შესახებ, რომ ზუგდიდი ექციათ დასავლეთ საქართველოში ძალოსნობის განვითარების ცენტრად. მაგრამ შემდეგში ამ დარბაზში ვარჯიში, ფაქტობრივად, სახიფათო გახდა.

სწორედ ეს დარბაზი მანახეს ძალოსნობის ენთუზიასტებმა. შევედი და ელდა მეცა. დარბაზის ჭერის ერთი ნაწილი ჩამოშლილიყო, ჭერის მეორე კუთხეს ფუძე გამოცლილი აქვს და, როდის დაეხეთქება იატაკზე, კაცმა არ იცის. იატაკი კოლხეთის ჩხენტიანი ნიადაგის წყალობით ისეა დამპალი, ვერ გაარჩევ, ფიცრები აგია თუ ნახერხია მოყრილი; პატარა სათავსოში, რომელიც ასაწონი ოთახის როლს ასრულებდა, ჭერი უკვე ჩამონგრეულა და სასწორი თან დაუტანებია. საბედნიეროდ, ყველაფერი უმსხვერპლოდ დამთავრებულა.

— როგორ ბედავთ ამ დარბაზში ბავშვების შემოყვანას. ან მშობლები როგორ გაძლევენ ამის უფლებას? — ვკითხე მწვრთნელებს.

— ვფრთხილობთ, გაფაციცებულნი ვართ, ბავშვები რომ არ დაგვიშავდნენ, — მიპასუხეს მათ, — ისე კი, ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ შეაკეთებს დარბაზს, თუმცა...

დიახ, ეს დაპირება ორი წელია გრძელდება. გარდა ამისა, დახმარების ნაცვლად (იქნებ არც დაიჯეროთ) ამ დარბაზს ორი სათავსო ოთახი — გასახდელი და საშხაპე, „ჩამოაჭრეს“ და რაიონის ერთ-ერთ არაფორმალურ ორგანიზაციას გადასცეს. ამასთან, თუ ზუგდიდის სპორტის თავკაცები ორი წლის განმავლობაში ამაოდ სთხოვდნენ ხელმძღვანელებს თანხას დარბაზის შესაკეთებლად, ძალოსნებისათვის ჩამორთმეული ორი ოთახის გასარემონტებლად რომელიღაც ორგანიზაციას უმალ გამოუყვეს 20 ათასი მანეთი. როგორც მითხრეს, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები გულწრფელად არიან შეწუხებულნი იმით, რომ ასე მოხდა და, მგონი, სხვაგან გადასვლას და ბავშვებისათვის ამ ორი ოთახის დაბრუნებას მოითხოვენ (ჭეშმარიტად ვაჟკაცური საქციელია!), მაგრამ თვით ქალაქის მესვეურებმა როგორ გადადგეს ასეთი ნაბიჯი, ყოვლად გაუგებარი და აუხსნელია.

სხვათა შორის, მწვრთნელმა ჯუმბერ მამფორიამ დანანებით მითხრა: თუ ასე გაგრძელდება, დარბაზში შესვლა შეუძლებელი გახდება; თავს დავანებებ ამ ცოდომადლით ნაკოწიწებ საქმეს და ხელოსნად ვიმუშავებ. ჰოდა, თუ კარგი სპეციალისტები ასე მოვაქციეთ წნეხში და იძულებული გავხადეთ მიატოვონ თავისი საყვარელი საქმე, როგორც იტყვიან, „კარგი დახლი დაგვიდგება“.

ახლა ისიც ვიკითხოთ: ამ „ძალოსნობის დარბაზის საქმეში“ გარეული ხელმძღვანელები ღირსნი არიან თუ არა, რომ მათ საქმის მოღალატენი ეწოდოთ?

ჩვენს ფიზკულტურულ და გამაჯანსაღებელ მოძრაობას კიდევ მრავალი სატკივარი სტანჯავს; რომელი ერთი ჩამოვთვალო. ერთზე კი უნდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ჩვენი ბიუროკრატიული აპარატის უნიათობის და უდარდელობის ნიმუშია: თბილისელთა დასვენების, გართობისა და ფიზიკური წრთობის კერებს ყოველთვის წარმოადგენდა ლისის ტბა, კუს ტბა და მთაწმინდის პარკი. დამსვენებლები ამ ადგილებს ძირითადად საბაგირო გზებითა და ტრამვაით უკავშირდებოდნენ. მაგრამ მოხდა დიდი უბედურება მთაწმინდის საბაგირო გზაზე, დაიღუპნენ ადამიანები. და, როგორც გვჩვევია ხოლმე, მერე გაახსენდათ, რომ საბაგირო გზები შესაკეთებელი იყო, დაკეტეს თბილისის ყველა საბაგირო გზა. უკვე მესამე თვეა გრძელდება რემონტი და კაცმა არ იცის, როდემდე გასტანს ასე. მაგრამ მთავარი მარტო ეს როდია: არც ერთ ბიუროკრატიულ რგოლს არ გახსენებია (ან კიდევ ხელს არ აძლევს გახსენება), რომ საბაგირო გზების გაუქმებით დამსვენებელთა უმრავლესობას დაეხშო დასვენებისა და სავარჯიშო ადგილებზე ასვლის საშუალება (ყველას საკუთარი მანქანა ხომ არ ჰყოლება!). ასეთ სიტუაციაში არავინ ფიქრობს კუს ტბაზე შაბათსა და კვირა დღეს მაინც დანიშნოს სამარშრუტო ტაქსი, ან კიდევ გამოიყვანოს უფრო ტევადი ავტობუსები მთაწმინდის პარკში ასასვლელად.

ერთი პატარა ფაქტიც: საქართველოს, როგორც ცნობილია, მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ჰყავს ველოსპორტში. ამ დროს კი ველოტურიზმში, რომელიც წრთობა-გაკაჟების ერთ-ერთი მასობრივი სახეობა უნდა იყოს, თბილისში მხოლოდ 12 კაცია ჩაბმული, რომელთაგან ლაშქრობებში დადის მხოლოდ 7. (შეადარეთ: ამერიკის შეერთებულ შტატებში შაბათ-კვირას ველოსიპედზე „მხედრდება“ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის მესამედი). ალბათ ხვდებით ამ წერილს რატომ ვამთავრებ ამ ფაქტით. საქმე ისაა, რომ ჩვენში ფიზკულტურა და სპორტი თავიდანვე წარმართეს ყალბი და უკუღმართი გზით: ე. წ. დიდ სპორტს შეძლებისდაგვარად ეთმობა სახსრებიცა და ყურადღებაც, და არც შედეგი აგვიანებს, მასობრივი ფიზიკური კულტურა კი...

მახინჯი ცხოვრების შედეგად გაჩენილი ამ უზარმაზარი ხარვეზის მთლიანად ამოვსება-გასწორება ამჟამინდელ ხელმძღვანელობას ნამდვილად გაუჭირდება. ეს მისია დამოუკიდებელმა და ერთიანმა საქართველომ უნდა იკისროს! რას ვიზამთ, თუ ახალი საქართველოს სიკეთე გვინდა, ხელები უნდა დავიკაპიწოთ, გამოვასწოროთ ძველი შეცდომები, განვამტკიცოთ ერის გაჯანსაღების ის საფუძველი, რომელსაც გამაგრების ნაცვლად არყევდნენ და აუბედურებდნენ მთელი 70 წლის მანძილზე!

ავთანდილ ციბაძე



დროზე დავარისხოთ ზარები!

რბენის მოყვარულები თელავის სტადიონზე.

მოკლედ

კარგ ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულის სპორტის თავკაცებმა. თორმეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა გარდამავალი თასის გათამაშებაში, რომელიც მასობრიობით და დაძაბულობით არც ერთ სარაიონო შეჯიბრებას არ ჩამოუვარდებოდა.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს „სისვაძეებისა“ და „კოდარეების“ უბნების წარმომადგენლები შეხვდნენ. როგორც ძირითადმა ისე დამატებითმა 15-წუთიანმა ტაიმებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, პენალტები კი უფრო ზუსტად სისვაძეებმა შეასრულეს და სოფლის ჩემპიონის საპატიო სახელიც მათ მოიპოვეს.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

„შევარდენი — 1906“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 0:0

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 24 სექტემბერი.

„შევარდენი-1906“: გვენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, ძნელაძე, კოპალეიშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი, ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

„ივერია“: ბრაუნისი, ჰანგურიძე, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (პ. ნოზაძე), ქიმერიძე, აბაზაძე (ბ. თევზაძე), რ. ნოზაძე, მღვდელაძე, რობაქიძე (ხარებაშვილი).

მსაჯები: მ. ჰელიძე, ე. სილაგავა, მ. მალაღურიძე (სამივე — თბილისი).

ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერთან „შევარდენი-1906“-ის შეხვედრას თბილისელ გულშემატკივართა დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. არადა, მართლაც გულდასაწყვეტია— ადრე, ვიდრე თბილისელთა გუნდი საქართველოს ჩემპიონატსა ან მეორე ლიგაში თამაშობდა, ტრიბუნები ყოველთვის სავსე იყო, ამ დღეს კი „შევარდენის“ სტადიონზე ხაშურელი გულშემატკივარი სჭარბობდა.

მატჩის პირველივე წუთი თბილისელთა შეტევებით აღინიშნა. ქობელაშვილი—ჩადუნელი—მინაშვილის მრავალსვლიანი კომბინაცია მეკარე ბრაუნისის „ხელებში დამთავრდა“. ამას ქიმერიძის საპასუხო იერიში მოჰყვა, რომელიც გვენცაძემ მოიგერია. ცოტა ხანში კი ჯერ ქობელაშვილის დარტყმული ბურთი გამოიტანა ცარიელი კარიდან ცხოვრებაშვილმა, შემდეგ ჩადუნელის ეფექტური დარტყმა ასცდა კარს. მეოცე წუთზე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა ლაცაბიძემ, როდესაც ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი მიზანს. საერთოდ, ეს მატჩი შეიძლება ორი მეკარის დუელად ჩაითვალოს. და თუ შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა, სწორედ მათი დამსახურებაა. გვენცაძე და ბრაუნისი ამ დღეს ნამდვილად იმსახურებდნენ გულშემატკივართა ოვაციებს.

პირველი ნახევრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე გვენცაძემ ზედიზედ რამდენიმე იერიში მოიგერია, რომლებიც ხაშურელთა უდავოდ აქტიურმა თავდამსხმელმა მღვდელაძემ განახორციელა.

ტაიმის მიწურულს ყულიაშვილის მოცელვისათვის დაინიშნა პენალტი. მასპინძელთა ლიდერმა, ქობელაშვილმა, ვერ შეძლო ზუსტად შეესრულებინა თერთმეტმეტრიანი დარტყმა, ბურთი ძელს მოხვდა.

შეხვედრის მეორე ნახევარიც ისევე წარიმართა, როგორც პირველი — გუნდები უტევდნენ, მაგრამ მეკარეები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ.. ფრე — 0:0 ამ შეხვედრის ლოგიკური შედეგი იყო.

ინგა ჩახვაშვილი

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „სანავარდო“ (სამტრედია) 2:1 (1:0).

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 24 სექტემბერი.

„სამგურალი“: მიქაძე, ჩიხლაძე (მუშკუდიანი), წიქარიშვილი, ხურცილავა, იონანიძე, ლ. ფეხტვენიძე, ხვიტია, ცნობილაძე, კერესელიძე, გოგელიძე (სიჭინავა), ხარაბაძე.

„სანავარდო“: თოდაძე (გამყრელიძე), კოხრეიძე, ვაშაკიძე, პელიძე, თვალაბეიშვილი, რუხაძე, ბაბუნიძე, კოტრიკაძე (ტონია), ხუპუა, თამაზაშვილი, ლორთქიფანიძე.

მსაჯები: მ. მირცხულავა, ვ. გვიჩია (ორივე — ლანჩხუთი), ზ. ლაცაბიძე (თბილისი).

მატჩი მეტად მაღალ ტემპში დაიწყეს მეტოქეებმა, მაგრამ სამტრედიელები მაინც გამოირჩეოდნენ აქტიურობით. მე-10 წუთზე წყალტუბოელთა მეკარე მიქაძემ ძლივს მოიგერია სტუმართა შეტევა, მე-20 წუთზე კი თოდაძეს მოუხდა თავისი ოსტატობის გამოჩენა.

30-ე წუთზე ხარაბაძე შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და ზუსტად გადააწოდა ბურთი გოგელიძეს, რომელმაც გახსნა ანგარიში — 1:0.

პირველი ტაიმის ბოლო წუთებში სამტრედიელებმა არაერთი სახიფათო იერიში განახორციელეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლეს და მასპინძლებმა შეინარჩუნეს მინიმალური უპირატესობა.

შეხვედრის მეორე ნახევარი წყალტუბოელთა შეტევებით დაიწყო. 46-ე წუთზე ხვიტიას უნაკლო გადაცემა კარგად გამოიყენა წყალტუბოელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კერესელიძემ და ანგარიში ორამდე გაზარდა.

ამის შემდეგ მასპინძლები ზედმეტად დამშვიდნენ და 58-ე წუთზე რუხაძემ გაქვითა კიდეც ერთი გოლი — 2:1. შეხვედრის ბოლო წუთებზე სამტრედიელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ, მასპინძელთა მცველებისა და მეკარის კარგმა თამაშმა გამარჯვება მოუტანა „სამგურალს“.

ომარ ჭუმბურიძე,
„ლელოს“ კორ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია“ (თბილისი)	25	17	5	3	72-17	56
„გორდა“ (რუსთავი)	25	17	3	5	48-18	54
„გურია“ (ლანჩხუთი)	25	16	5	4	63-16	53
„ბათუმი“ (ბათუმი)	24	16	5	3	48-13	53
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	25	15	4	6	42-22	49
„კოლხეთი-1916“ (ფოთი)	24	13	4	7	41-25	43
„ცხუმი“ (სოხუმი)	25	10	8	7	39-27	38
„სანავარდო“ (სამტრედია)	26	9	7	10	24-31	34
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	26	9	8	9	38-32	35
„კოლხეთი“ (ხობი)	25	8	7	10	31-35	31
„შევარდენი“-1906 (თბილისი)	26	8	6	12	32-53	30
„დილა“ (გორი)	24	8	5	11	32-36	29
„მზიური“ (გალი)	25	8	5	13	35-55	29
„ოდიში“ (ზუგდიდი)	26	7	8	11	28-32	29
„სამგურალი“ (წყალტუბო)	26	8	4	14	28-45	28
„ივერია“ (ხაშური)	25	8	2	16	24-52	26
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	26	5	6	15	24-40	21
„ლიახვი“ (ცხინვალი)	26	0	0	26	11-111	0

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ჩიხურა“ (საჩხერე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0, „სულორი“ (ვანი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:2, „სამეგრელო“ ([illegible]) — „მარგვე[illegible]“ ([illegible]ესტაფონი) 2:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:1, „კახეთი“ (თელავი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „იმერეთი“ (ხონი) 2:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „სიხარული-90“ (გაგრა) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 3:1.

საკავშირო პირველობაზე

24 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 0:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „არარატი“ (ერევანი) 0:0, „დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 2:1.

სამშობლომონატრებული კაცის სევდა...

ვიდრე 60-იანი წლების ერთ-ერთ უძლიერეს მეკარეს ანზორ კავაზაშვილს შევხვდებოდი, ერთხელ კიდევ გადავხედე მის სპორტულ ბიოგრაფიას. სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორჯერ (1965 და 1967 წ.წ.) აღიარეს საუკეთესო მეკარედ, ორჯერ, იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1965 და 1971 წ.წ.) ორჯერ ფლობდა საკავშირო თასს (1968 და 1971 წ.წ.), მონაწილეობდა ორ მსოფლიო ჩემპიონატში — 1966 წელს ინგლისში და 1970 წელს — მექსიკაში. მაგრამ რაოდენ დასანანია, რომ მას ამ პრიზებიდან და ჯილდოებიდან არც ერთი არ მოუპოვებია ქართულ გუნდთან ერთად. ამჟამად ბატონი ანზორი მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანია. მისი მოძებნა არ გაგვძნელებია, იმ უბრალო მიზეზით, რომ კავაზაშვილის გვარის მხოლოდ ერთი აბონენტია მოსკოვში. როგორც კი გაიგო ჩვენი ვინაობა და შეხვედრის მიზანი, ქართულად გამოგვეპასუხა და ინტერვიუზე დაგვთანხმდა.

● ბატონო ანზორ, თავიდან თითქოს ყველაფერი ნორმალურად დაიწყო, თქვენ ქართულ ფეხბურთს ემსახურებოდით და სრულიად ახალგაზრდა მისი უპირველესი გუნდის შემადგენლობაშიც მოხვდით. რა მოხდა შემდეგ?

— ჯერ მანამდე რა იყო — იმის შესახებ. ჩემი პირველი მწვრთნელები გივი თიკანაშვილი და აწ განსვენებული ბორის ფროლოვი იყვნენ. თავიდანვე მეკარეობა ვირჩიე და 15 წლისა უკვე აჭარის პირველობაზე ბათუმის ავტოსატრანსპორტო საწარმოს გუნდში გამოვდიოდი. ამავე დროს აჭარის ჭაბუკთა ნაკრების წევრიც ვიყავი. ერთი წლის შემდეგ კი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში მიმიწვიეს, რომელსაც სახელგანთქმული გრიგოლ გაგუა წვრთნიდა. ამ გუნდმა ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. 1957 წელს პატივცემულმა გაიოზ ჯეჯელავამ თბილისის „დინამოში“ მიმიწვია. მაშინ ჯერ კიდევ 17 წლისა ვიყავი, „დინამოს“ ღირსებას კი ისეთი ცნობილი მეკარეები იცავდნენ, როგორებიც სერგო კოტრიკაძე და ვლადიმერ მარღანია იყვნენ. გუნდში შვილივით მიღეს. ღოღობერიძე და მარღანია თავს დამტრიალებდნენ. მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი 1959 წლამდე ვერ დავიკავე. სულ მალე კი რადიკულიტით გავხდი ავად და ამიტომ წვალებით მოპოვებული ადგილი დავკარგე. იმ წელს „დინამომ“ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, მე კი არ მერგო წილად. შეიძლება ითქვას, აქედან დაიწყო ყველაფერი. ვხედავდი გუნდში ძლიერი მეკარეები იყვნენ, მე კი არ მქონდა მოთმინების უნარი, პატარა ვიყავი და უნდა დამემტკიცებინა, რომ რაღაც შემეძლო. სეზონის დამთავრების შემდეგ გუნდი ბელგიაში წავიდა. მე.... თბილისში დამტოვეს. ამიტომ გადავწყვიტე უმაღლესი ლიგის სხვა გუნდში გადავსულიყავი, რათა ჩემი შესაძლებლობები სრულად გამომევლინა. ჯერ „ზენიტში“ მიმიწვიეს, 1961 წელს კი მოსკოვის „ტორპედოში“ გადავედი და მის შემადგენლობაში 8 სეზონი ვითამაშე. მაშინ „ტორპედოს“ მწვრთნელი ვიქტორ მასლოვი იყო, ხოლო გუნდის შემადგენლობაში ბრწყინავდნენ სლავა მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი, ვალერი ვორონინი და სხვები.

● 1964 წელი მინდა გაიხსენოთ, ტაშკენტის ისტორიული მატჩი — თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ დამატებითი შეხვედრა პირველი ადგილისათვის. იმ წელს თქვენ „ტორპედოს“ შემადგენლობაში იყავით, „დინამოს“ წინააღმდეგ კი არ ითამაშეთ. რატომ?

— ტაშკენტის მატჩის წინ მწვრთნელს ვიქტორ მარიენკოსა და თვით გუნდის წევრებს ვთხოვე, არ გამოვეყვანე მინდორზე. მიზეზი? — მატჩის ნებისმიერი შედეგი გამოიწვევდა მითქმა-მოთქმას, თან ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში ნამდვილად არ მინდოდა მონაწილეობის მიღება ჩემი ძველი გუნდის წინააღმდეგ, თუმცა მანამდე თბილისელებს მინდორზე რამდენჯერმე შევხვედრივარ.

● საინტერესოა, რას გრძნობდით, როცა მშობლიური გუნდის წინააღმდეგ თამაშობდით?

— ისევე ვემზადებოდი დინამოელებთან შეხვედრისათვის, როგორც ნებისმიერი სხვა მატჩისათვის. შეიძლება ცუდად ჟღერდეს, მაგრამ მე მათთან შეხვედრაში უფრო მეტად ვცდილობდი კარგად მეთამაშა და მინდორზე დამემტკიცებინა, რომ საიმედო მეკარე ვარ. ისე, ცხოვრებაში კარგი ურთიერთობა მქონდა სლავა მეტრეველთან, მურთაზ ხურცილავასთან, მიხეილ მესხთან და სხვებთან.

● რუსეთში გადასვლის შემდეგ „დინამოში“ აღარ მიუწვევიხართ?

— სადღაც, გულის კუნჭულში, ყოველთვის თითქოს ველოდი ამას, მაგრამ ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, წყენას რომ ადვილად ვერ ვივიწყებ, ყოველთვის მახსენდებოდა 1959 წელი. 1968 წელს კი ჩოხელმა მიმიწვია „დინამოში“. ეს სლავას ინიციატივა იყო. „ტორპედოდან“ განთავისუფლება დიდი ნერვების ფასად დამიჯდა, გუნდი არ მიშვებდა, ბოლოს, როცა ყველაფერი მოვაგვარე, კიდევ ერთხელ შევეხმიანე ჩოხელს და გარანტია ვთხოვე, რომ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებდი. მაშინდელი „დინამოს“ კარს რამაზ ურუშაძე იცავდა. ჩოხელმა მიპასუხა — ვინც უკეთ ითამაშებს, იმას დავაყენებო. ასეთ სათუო პასუხს აღარ დავჯერდი, იმ დროს კარგ ფორმაში ვიყავი და ჩემს ბედს სასწორზე ვერ შევაგდებდი. იმავე დღეს მოვიდა ჩემთან „სპარტაკის“ ადმინისტრატორი ანატოლი კორშუნოვი, რომელმაც შემომთავაზა მის გუნდში გადასვლა. ასე აღმოვჩნდი „სპარტაკში“.

● ალბათ, აქ ისიც უნდა გავითვალისწინებინათ, რომ ჩოხელი ტელეფონით ვერ შეძლებდა ასპროცენტიანი იმედის მოცემას. მაგრამ ეს ყველაფერი უკან დარჩა.

საინტერესოა, ასეთ ცნობილ მეკარეს, მსოფლიოს დიდ სტადიონებზე რომ უთამაშია, მიწვევა თუ გქონდათ უცხოეთის კლუბებიდან?

— სამი ასეთი შემთხვევა მახსოვს. პირველად 1964 წელს, სეზონის ბოლოს, „ტორპედოს“ შემადგენლობასთან ერთად ავსტრალიაში ყოფნისას მიმიწვიეს ერთ-ერთ იქაურ კლუბში, 1966 წელს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ბრიტანეთის სუპერკლუბები „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და „არსენალი“ მთხოვდნენ მათთან გადასვლას. 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნისას კი აშშ-ის პროფესიულ გუნდში მიწვევდნენ, მაგრამ იმ პერიოდში ოცნებაც არ შეიძლებოდა საზღვარგარეთის გუნდებში გადასვლაზე.

● მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი ახსენეთ. თქვენი აზრით, რა იყო მეოთხედფინალში საბჭოთა ნაკრების მარცხის მიზეზი?

— მე მგონი, საჭირო ტაქტიკა ვერ შეარჩიეს გუნდის ხელმძღვანელებმა — კარის დაცვაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ. სლავა კი საერთოდ არ ათამაშეს ამ მსოფლიო ჩემპიონატზე, არადა, მართლა კარგ ფორმაში იყო.

● მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ბოლოს ქუთაისში დაბრუნდით...

— თამაშს 31 წლის ასაკში მივანებე თავი, რადგან ძველებურად სწრაფად ველარ ვმოქმედებდი. ქუთაისში მწვრთნელობა შემომთავაზეს. „ტორპედოს“ გასაძლიერებლად „სპარტაკიდან“ ამბარცუმიანი, სილაგაძე (ამჟამად ჯ. სილაგაძე სმოლენსის „ისკრის“ მწვრთნელია. თ. პ.), ლინიოვი და პეტროვი წამოვიყვანე. რამდენიმე კვირის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მთავარ მწვრთნელად ვსევოლოდ ბლინკოვი დანიშნეს, მე კი კვლავ ხელთათმანებს დავუბრუნდი. მაშინდელი ქუთაისის „ტორპედო“ კარგი გუნდი იყო, მაგრამ ვერა და ვერ მოხერხდა ჩვენი ლიდერობა პირველ ლიგაში. შემდეგ უიმედობამ გუნდი კალაპოტიდან ამოაგდო, სეზონის ბოლოს კი თამაშს საბოლოოდ მივანებე თავი. მწვრთნელობა დავიწყე. ერთი პერიოდი აფრიკაშიც ვმუშაობდი — ვავარჯიშებდი ჩადის ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც ცენტრალური აფრიკის თამაშებზე მეორე ადგილი დაიკავა. 1978 წლიდან კი რუსეთის ფეხბურთის ფედერაციაში ვმუშაობ.

● საინტერესოა, როგორ შეხვდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებას ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების შესახებ?

— მე მივესალმები ყოველნაირ — ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ — სუვერენიტეტს, მსურს საქართველოც მალე გახდეს დამოუკიდებელი. სამწუხაროდ, ეროვნული ჩემპიონატის გახსნას არ ვესწრებოდი. ალბათ, დაავიწყდათ ჩემი დაპატიჟება. ნოდარ ახალკაცთან კი ჭაბუკობის საუკეთესო წლები გვაკავშირებს — ერთად ვთამაშობდით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში. წლეულს ივლისის ბოლოს ვიყავი საქართველოში, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ვერ ვნახე. თუმცა ვიცი, რომ ჩემპიონატი საინტერესოდ მიმდინარეობს.

● უცხო ნიადაგზე გადარგული ნერგი არ ხარობსო. ნუთუ არ გენატრებათ საქართველო. ან არ გსურთ თქვენი უნარი მაქსიმალურად ქართულ ფეხბურთს მოახმაროთ?

— სამი წლის წინ ვაპირებდი ბათუმში დაბრუნებას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ აჭარის სპორტსახკომის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარმადგინა. გასაუბრებაზეც ვიყავი ზემდგომ ინსტანციებში, მაგრამ იქ სხვა დანიშნეს, მე კი კვლავ მოსკოვში დავრჩი.

...მეტი აღარაფერი უთქვამს. ჩვენი საუბარი დასრულდა. მის გამომეტყველებაში რატომღაც სამშობლომონატრებული კაცის სევდა დავინახე.

ესაუბრა
თენგიზ პაჭკორია

სპარტაკიადის პრიზიორები

მოსწავლეთა XVIII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში, როგორც ცნობილია, შეტანილი იყო სპორტის ტექნიკური სახეობებიც, რომლებშიც საქართველოს წარმომადგენლებმა საკმაოდ კარგად იასპარეზეს: ორ სახეობაში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს (რადიოტელეგრაფია და მოტოკროსი) და ორშიც (ავტომოდელიზმი და გემთმოდელიზმი) მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. შეჯიბრების სრული შედეგები გუშინდელ ნომერში იყო გამოქვეყნებული. დღეს გთავაზობთ ჩემპიონთა ფოტოსურათებსა და დოსიეებს, აგრეთვე, მონაცემებს დანარჩენ პრიზიორებზეც.



ი. ბოლოწიშვილი

იოსებ ბოლოწიშვილი (ავტომოდელიზმი)

დაიბადა 1974 წ. 7 ნოემბერს თბილისში.

დოსააფი (თბილისი II სპორტულ-ტექნიკური კლუბი).

სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

სიმაღლე 170 სმ. წონა 45 კგ.

სპორტში მეცადინეობს 1987 წლიდან.

სსრ კავშირის ნაკრების წევრი 1989 წლიდან.

თბილისის 29-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

მწვრთნელი თ. ლატარია.

პირველ წარმატებას მიაღწია 1987 წ. — გაიმარჯვა საერთაშორისო თამაშებში (არტეკი).



დ. მოსკვიტინი

სსრ კავშირის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, 1990 წ. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის ტექნიკურ სახეობაში.

დიმიტრი მოსკვიტინი (რადიოსპორტი)

დაიბადა 1974 წ. 6 სექტემბერს, თბილისში.

დოსააფი (რესპუბლიკური სპორტ-ტექნიკური რადიო კლუბი) სპორტის ოსტატი.

სიმაღლე 182 სმ. წონა 73 კგ.

თბილისის 106-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

სპორტში მეცადინეობს 1985 წლიდან.



ლ. მამაცაშვილი

მწვრთნელი ვ. სადუკოვი.

1987 წლის საქართველოს ჩემპიონი. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის (1990 წ.) ჩემპიონი ტექნიკურ სახეობაში.

ლევან მამაცაშვილი (გემთმოდელიზმი)

დაიბადა 1973 წ. რუსთავში.

დოსააფი, სპორტის ოსტატი.

სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1985 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი.

მწვრთნელები გ. მამაცაშვილი და გ. კაიშაური.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი (1990 წ.) ტექნიკურ სახეობაში.



ნ. ახიჯანოვი

ნიკოლოზ ახიჯანოვი (მოტოკროსი)

დაიბადა 1974 წ. 29 ოქტომბერს თბილისში.

დოსააფი (ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ-ტექნიკური სკოლა). II თანრიგი.

სიმაღლე 163 სმ. წონა 60 კგ.

სპორტში მეცადინეობს 1987 წ.

თბილისის 44-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

მწვრთნელი ნ. ბუკრეევი.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის (1990 წ.) ჩემპიონი ტექნიკურ სახეობაში.

ალექსანდრე ოლენინი (სამხედრო გამოყენებითი მრავალჭიდი)

დიბადა 1972 წ. 27 იანვარს, ვოროშილოვგრადის ოლქში.

დოსააფი (თბილისი, რესპუბლიკური სასროლო-სპორტული კლუბი).

სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

სიმაღლე 185 სმ. წონა 71 კგ.

სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1984 წლიდან.

სსრ კავშირის ნაკრებშია 1990 წლიდან.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლე.

მწვრთნელი ს. პოლოსიანი.

1986 წ. რესპუბლიკის ჩემპიონი ახალგაზრდებში, საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის პრიზიორი. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე (1990 წ.) — II ადგილი.

დათო თოლორდავა (სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდი)

დაიბადა 1972 წ. 26 ოქტომბერს, ჩხოროწყუს რ-ის სოფელ მუხურში.

დოსააფი (თბილისის რესპუბლიკური სასროლო-სპორტული კლუბი) I თანრიგი.

სიმაღლე 181 სმ. წონა 71 კგ.

სპორტში მეცადინეობს 1989 წლიდან.

მწვრთნელები ს. პოლოსიანი და ო. ელიზბარაშვილი.

წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილე, სადაც I თანრიგოსნის ნორმატივი შეასრულა.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის (1990 წ.) ბრინჯაოს პრიზიორი.

მალხაზ დვალიშვილი (ავტომოდელიზმი)

დაიბადა 1974 წელს. თბილისში.

დოსააფი (თბილისი; სპორტულ-ტექნიკური კლუბი)

II თანრიგი.

სპორტში მეცადინეობს 1984 წლიდან.

თბილისის 154-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

მწვრთნელი თ. ლატარია.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის (1990 წ.) მეორე პრიზიორი ტექნიკურ სახეობაში.

ალექსანდრე პროსნიაკოვი (გემთმოდელიზმი)

დაიბადა 1975 წ. თბილისში.

დოსააფი. II თანრიგოსანი.

სპორტში მეცადინეობს 1986 წლიდან.

თბილისის 43-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

მწვრთნელები ა. ნუცუბიძე და გ. კაიშაური.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის (1990 წ.) მეორე პრიზიორი ტექნიკურ სახეობებში.

მაინც გავიდა სტარტზე...

მრავალდღიან ველორბოლაში საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ეტაპი თბილისელი სტელა პრიახინასათვის საბედისწერო გამოდგა, თუმცა... მის სუსტ გამოსვლას ამ ეტაპზე მწვრთნელებიცა და თანაგუნდელებიც ელოდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ წინა დღით პრიახინა შეუძლოდ იყო, სიცხეც ჰქონდა. თავს კარგად არ გრძნობდა იგი მეხუთე ეტაპის სტარტზეც, რაც, სხვათა შორის, ექიმმაც დააფიქსირა. მაგრამ ველოსიპედისტმა არ მიატოვა თანაგუნდელები მძიმე ბრძოლაში, მაინც გავიდა სტარტზე. თუმცა, ბუნებრივია, ვერაფერი შეძლო, 29-ე ადგილი დაიკავა დისტანციაზე და საბოლოოდ ლიდერთა ჯგუფიდან ოცდამეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. სპორტში, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე ასეთი რამ. ოღონდ გულდასაწყვეტი ისაა, რომ თბილისელ ველოსიპედისტს ავადმყოფობამ შინ უწია, სადაც უდავოდ ჰქონდა კარგად გამოსვლისა და თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

მეხუთე ეტაპი წარმოადგენდა 8,5 კილომეტრიან წრეს შავნაბადას მიდამოებში. ველოსიპედისტებს ეს წრე რვაჯერ უნდა შემოევლოთ რთულმა პროფილმა ასპარეზობის მონაწილენი 4 წრის შემდეგ რამდენიმე ჯგუფად დაჰყო. პირველ, დაწინაურებულ, ჯგუფში მოხვდნენ მოსკოველი დები რასა და იოლანტა პოლიკიავიჩუტეები, აგრეთვე, მათი თანაგუნდელი ნადეჟდა პაშკოვა. უკან ჩამორჩენილებმა რამდენჯერმე სცადეს ლიდერთა „დაჭერა“ მაგრამ ამაოდ.

ფინიშის ხაზზე საპრიზო ადგილები სამეულმა გაინაწილა ასეთი თანამიმდევრობით, 1. იოლანტა პოლიკიავიჩუტე, 2. რასა პოლიკიავიჩუტე (დრო ორივეს ერთნაირი ჰქონდა — 2:04,31), 3. ნადეჟდა პაშკოვა — 2:04,38.

ხუთი ეტაპის ჯამში ლიდერთა სამეულში არიან რასა პოლიკიავიჩუტე — 10:18.03. მისი და იოლანტა — 10:18.38 და ვალენტინა გერასიმოვა (მოსკოვი)—10:19.20. პრიახინა ლიდერთან 7 წუთს აგებს.

აშშ-ავსტრალია

დევისის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან აშშ-სა და ავსტრალიის ჩოგბურთელები. ეს ცნობილი გახდა ნახევარფინალური შეხვედრების დამთავრების შემდეგ.

ავსტრალიელებმა მშრალი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს არგენტინის გუნდი. თავიანთი ორთაბრძოლები მოიგეს: პეტ კეშმა (ალბერტო მანჩინისთან და მარტინ ჰაიტესთან), უოლი გაზერმა (ჰაიტესთან და ხავიერ ფრანასთან), აგრეთვე მარკ კრატცმანისა და დარენ კახილის წყვილმა (კრისტიან მინიუსთან და ხავიერ ფრანასთან).

დრამატულად მიმდინარეობდა ბრძოლა ავსტრიისა და აშშ-ს გუნდებს შორის. ტომას მუსტერმა (ავსტრია) აჯობა მაიკლ ჩანგს და ანდრე აგასის. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, დაამარცხა ჰორსტ სკოფი. სკოფი დამარცხდა ჩანგთანაც. წყვილთა შეხვედრაში კი ამერიკელთა დუეტმა (რიკ ლიჩი, ჯიმ პიუ) იმარჯვა და საბოლოო წარმატებასაც მინიმალური ანგარიშით (3:2) ამერიკელებმა მიაღწიეს.

კალეიდოსკოპი

● **1992 წლის** ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე შესასვლელი ბილეთები საშუალოდ 2000 პესეტი ეღირება. ეს ამ დღეებში გამოაცხადა ესპანეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც ბილეთების გაყიდვას 1991 წლის თებერვალში გეგმავს. ბილეთები ყველაზე ძვირი იქნება თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე, აგრეთვე, ფინალურ შეჯიბრებებზე —საშუალოდ 9 ათასი პესეტი.

● **დასავლეთ გერმანიის** ზოგიერთი სპორტული ფედერაცია ფულს ტელეკომპანიებისაგან მიიღებს. არდ-ისა და ცდფ-ს ტელესადგურებმა უკვე გააფორმეს კონტრაქტები ტელეგადაცემებზე და ამაში 42 მილიონი მარკა გადაიხადეს.

● **საპონიაში** გარდაიცვალა იაპონელი პროფესიონალი მოკრივე იუნ იონესაკა. 23 წლის სპორტსმენმა ერთ-ერთ ბრძოლაში ნოკაუტი მიიღო, დაკარგა გრძნობა და ექვსი დღის მერე გარდაიცვალა ისე, რომ გონებაზე არ მოსულა.

● **1992 წლის** ზამთრის ოლიმპიური თამაშების (ალბერვილი) ერთ-ერთი ორგანიზატორის, ლეგენდარული ფრანგი სამთო-მოთხილამურის ჟან-კლოდ კილის განცხადებით, თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალს დადგამს ცნობილი კინორეჟისორი ჟან-ჟაკ არნო. ამ რეჟისორს მაყურებელი იცნობს გახმაურებული ფილმებით: „დათვი“ „ომი და ცეცხლი“, „ვარდის სახელი“ და სხვებით.

● **ფრენბურთის** საერთაშორისო ფედერაცია აქტიურად საქმიანობს ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით აფრიკის კონტინენტზე. ამ დღეებში გახდა ცნობილი, რომ ფედერაცია აფრიკის ქვეყნების სპორტულ ორგანიზაციებს ნახევარ მილიონ დოლარის გადაურიცხავს.



სპორტულის და სალაღოზის

29-30 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის გაერთიანებასთან არსებული მრავალდარგოვანი ფირმა „მერანი“ მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირების ფედერაციის სპორტკლუბ „შევარდენთან“ ერთად აწყობს ქართული ჭიდაობის ფესტივალს შოუ-პროგრამის თანხლებით. მონაწილეთა შორის იქნებიან რესპუბლიკის საუკეთესო ფალავნები. დაწესებულია საპრიზო ფონდი 11.000 მანეთის ოდენობით. შემოსავლის ნაწილი მოხმარდება ქართული ჭიდაობის განვითარებას, ნაწილი კი — საქველმოქმედო მიზნით — გადაირიცხება საქართველოს ახალგაზრდობის ფონდ „მამულში“.

საფეხბურთო „სპორტპროგნოზის“ მესამე ტირაჟი

4-5 ოქტომბერი

4.X.90.

„ამირანი“ — („ოჩამჩირე)—„ლიახვი“ (ცხინვალი)

„ სამგურალი“ (წყალტუბო) — „გურია“ (ლანჩხუთი)

5.X.90.

„სანავარდო“ (სამტრედია) — „ბათუმი“ (ბათუმი)

„ივერია“ (ხაშური) — „ცხუმი“ (სოხუმი)

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „გორდა“ (რუსთავი)

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „დილა“ (გორი)

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „იბერია“ (თბილისი)

„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „მზიური“ (გალი)

„კოლხეთი“ (ხობი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი)

„სიხარული-90“ (გაგრა) — „ალაზანი“ (გურჯაანი)

საფეხბურთო „სპორტპროგნოზის“ ლატარიის ბილეთების ჩაბარების უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 1 ოქტომბერი.

საფეხბურთო „სპორტპროგნოზის“ ლატარიის შევსებულ ბილეთებს ნუ ჩაუშვებთ „სპორტლოტოს“ ყუთებში, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზიები არ მიიღება.

„სპორტპროგნოზი“

38-ე ტირაჟის შედეგები (21-23 სექტემბერი)

1-2, 2-1, 3-2, 4-2, 5-1, 6-X, 7-1, 8-1, 9-2, 10-1, 11-X, 12-1, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი

ო[illegible]

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჰეჰიაშვ. კორექტორები ც. ჩხეტიშვილი და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-20, „მარათი“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 60485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 28.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20